საქმე #0176 14 თებერვალი 2015 წელი

ქ. თბილისი

შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის შემადგენლობა:

ელიზბარ ხაჭაპურიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

პაატა ნოზაძე, ეთერ ზაალიშვილი

**საქმის განხილვის ფორმა** - ზეპირი მოსმენა

**აპელანტები** - „მედიის განვითრების ფონდი“ და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება** - შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განმხილველი კომისიის 2015 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება (#0013)

**აპელანტების მოთხოვნა** - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და 2014 წლის 31 დეკემბრის საჩივრის განხილვა

**დავის საგანი** - შპს „ტელეიმედის“ გადაცემა „სხვა რაკურსის“ 2014 წლის 25 დეკემბრის სიუჟეტი - „მედრესეში მიბარებულ ბავშვები“

**აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 31 დეკემბერს, „ტელეიმედის“ თვითრეგულირების ორგანოს, განცხადებით მიმართა სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ: „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობამ“, „მედიის განვითრების ფონდმა“ და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“. საჩივრის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ „ტელეიმედის“ გადაცემა „სხვა რაკურსის“ 2014 წლის 25 დეკემბრის სიუჟეტის - „მედრესეში მიბარებულ ბავშვები“, ტელეტრანსრილებით დაირღვა **„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“** მე-14 მუხლის მე-9 პუნქტი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, 44-ე მუხლის 1-ი პუნქტი და 47-ე მუხლის მე-11 პუნქტი. ამავე საჩივარში აღნიშნულ ორგანიზაციების მოთხოვნაა - შეისწავლოს მაუწყებელმა სადაო სიუჟეტი და იმსჯელოს აღნიშნული მუხლების დარღვევის თაობაზე.

შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განმხილველი კომისიის 2015 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ წერილის (საჩივრის) ავტორებს მის განხილვაზე, „მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის *(„საჩივრის მიღებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საჩივრის განსახილველად მიღების ან საჩივარზე უარის თქმის შესახებ და დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის თაობაზე მომჩივანს.")* და ამავე კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის *(„დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ*

*შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.")* გათვალისწინებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს შპს ,,ტელეიმედის" თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განმხილველ სააპელაციო კომისიაში ,,მედიის განვითრების ფონდმა" და ,,ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა". საჩივარში, აღნიშნული ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება უსაფუძვლოა, ვინაიდან, კომისიამ გამოიყენა კანონის ის მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და კერძოდ ,,მაუწყებელთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი და ასევე კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ საჩივრის წარმოდგენის ვადის დარღვევას მათი მხრიდან ადგილი არ ქონია.

აპელანტებმა მოითხოვეს: შპს ,,ტელეიმედის" თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განმხილველი კომისიის 2015 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და 2014 წლის 31 დეკემბრის საჩივრის განხილვა.

<u>სამოტივაციო ნაწილი:</u>

სააპელაციო კომისიას მიაჩნია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების: ,,ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის", ,,მედიის განვითრების ფონდის" და ,,ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის" მიერ, სადაო სიუჟეტის თაობაზე საჩივარი ,,ტელეიმედის" თვითრეგულირების ორგანოს წარედგინა კანონით დადგენილ ვადაში და კერძოდ, მისი ტელეტრანსრილებიდან ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-6 მუხლის 1-ი ნაწილით განსაზღვრულ 10 დღის ვადაში, აღნიშნულის სამტკიცებლად კი, მომჩივანთა მიერ, წარმოდგენილ იქნა საქართველოს ფოსტისთავის წერილობითი კორესპონდენციის 31.1.2.2014 წელს ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის #2781880).

სააპელაციო საჩივრის არსებით განხილვამდე, სააპელაციო კომისიამ განიხილა საჩივრის წარმდგენ პირთა სტატუსი, სიუჟეტის ირგვლივ დასმულ ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" ნორმათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან მიმართებაში, უფრო ზუსტად კი, განსახილველ დავაში წარმოადგენენ თუ არა მომჩივანნი ,,დაინტერესებულ მხარეს" ანუ პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთა კანონიერი უფლება და/ან ინტერესი უშუალოდ და პირდაპირ დაირღვა სადაო სიუჟეტით ან გააჩნდათ თუ არა მათ იმ პირთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ვისაც უშაუალოდ შეეხებოდა (წარმოდგენილი ან/და მოხსენიებული იყო) ეს სიუჟეტი. აღნიშნული მნიშვნელოვან პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხს წარმოადგენს, რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს საჩივრის ბედს.

,,მედიის განვითრების ფონდის" წარმომადგენლის თამარ კინწურაშვილის განმარტებით, ვინაიდან, საქართველოს ერთ-ერთი სამაუწყებლო კომპანიის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებით, დაინტერესებული მხარის ინსტიტუტთან მიმართებაში ფართოდ განიმარტა დაინტერესებული მხარის ცნება და სწორედ ამ პრეცედენტზე დაყრდნობით შესაძლებელი იყო მათი დაინტერესებული მხარის წარმომადგენლად იდენტიფიცირება განსახილველ საქმეში. მისივე განცხადებით, კანონის ნორმათა (საუბარია ,,მაუწყებელთა

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 ,,ე'' პუნქტსა და ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-5 მუხლის ,,ვ'' პუნქტზე) ვიწრო განმარტების შემთხვევაში, თუ კომისია დაეყრდნობოდა ,,დაინტერესებული მხარის“ კანონისმიერ განმარტებას, მათ არ ეხებათ სადაო სიუჟეტი, თუმცა არსებული პრეცედენტის გათვალისწინებით, მათ თავი მიაჩნიათ საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბექტებად.

სააპელაციო კომისია აღნიშნულთან დაკავშირებით აცხადებს შემდეგს: ,,მაუწყებელთა შესახებ“ კანონში და ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ განსაზღვრულია მაუწყებელთა თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების მკაცრად გაწერილი მექანიზმი, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოიცავს მოთხოვნების დაყენების ფორმას, ვადებს, საჩივრების განხილვის პროცედურას, რომელთა რეალიზება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელია თუ, პრეტენზიის წარმდგენი პირი ამავე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ,,დაინტერესებული მხარეა“. ვინაიდან, კანონის ზემოხსენებული ნორმებით შეზღუდულია მომჩივანთა წრე და მითითებულია კონკრეტულ დაინტერესებულ პირზე *(,,დაინტერესებული პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა;“ (,,მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 ,,ე'' პუნქტი); ,,დაინტერესებული მხარე - ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში.“ ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-5 მუხლის ,,ვ“ პუნქტი),* კომისიას მიაჩნია, რომ საჩივრის წარმდგენი სუბიექტები განსახილველ სიუჟეტში არსებულ ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ სავარაუდო დარღვევებთან მიმართებაში არ წარმოადგენენ ,,დაინტერესებულ მხარეს“ - ისინი არ არიან სადაო სიუჟეტში წარმოდგენილი პირები, მასში გადმოცემული საკითხები მათ არ შეეხებოდათ და მათ არც ამ პირთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გააჩნიათ. აღნიშნული დგინდება საქმის მასალებით, მათ შორის თავად გადაცემა ,,სხვა რაკურსის“ 2014 წლის 25 დეკემბრის სიუჟეტით - ,,მედრესეში მიბარებულ ბავშვები“ და აპელანტთა ზეპირი განმარტებებით.

ამავე დროს, სააპელაციო კომისია ითვალისწინებს შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებს: ,,ტელეიმედი“ არის კონკრეტული სიხშირის გამოყენებაზე კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი სუბიექტი, ხოლო სიხშირული სპექტრი არის ამოწურვადი რესურსი და წარმოადგენს განსაკუთრებულ საზოგადოებრივ სიკეთეს. სახელმწიფო, ,,მაუწყებლობის შესახებ“ კანონში და ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ რეგლამენტირებული შესაბამისი ნორმებით, უზრუნველყოფს იმას, რომ საზოგადოება რომელიც სარგებლობს კონკრეტული მაუწყებლით, მიიღოს აუდიო-ვიდეო ინფორმაცია ეთიკური ფორმით და გადაცემები შესაბამისობაში იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან. ,,ტელეიმედით“ ტრანსლირებული აუდიო-ვიდეო მასალის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის პირობებში, მაუწყებელში მაღალ პროფესიულ სტანდარტების დანერგვისა და გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების განუხრელი დაცვის ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე, კომისია მართალია არ მიიჩნევს სააპელაციო საჩივრის ავტორებს ,,დაინტერესებულ მხარედ“, მაგრამ მოუწოდებს სადაო სიუჟეტის ავტორს, გადაცემა ,,სხვა რაკურსი“-ს რედაქტორს და გადაცემის მთელი შემოქმედებით ჯგუფს გაეცნონ საქმის მასალებსა და სააპელაციო კომისიის წინამდებარე გადაწყვეტილებას და მაუწყებლის მიერ არასრულწლოვანთა დაცვის უზრუნველყოფის, ზუსტი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფისა და მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპების დაცვისა და

ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის სახელმძღვანელო რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკრუპულოზურად განიხილონ სიუჟეტი - ,,მედრესეში მიზარებული ბავშვები", მით უფრო, რომ თავად აპელანტთა განცხადებით, მათ მიერ შემოტანილი საჩივრის მიზანს წარმოადგებს არა ვინმეს დასჯა, არამედ, მედია საშუალების მიერ გაშუქების ხარისხის გაუმჯობესება.

სარეზოლუციო ნაწილი:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ,,მედიის განვითრების ფონდისა" და ,,ტოლენტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის" 2015 წლის 14 იანვრის სააპელაციო საჩივარი და სრულად გაუქმდეს შპს ,,ტელეიმედი"-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განმხილველი კომისიის 2015 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება.
2. 2015 წლის 14 იანვრის სააპელაციო საჩივართან მიმართებაში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება და კერძოდ, წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი არ იქნას განსახილველად მიღებული, ვინაიდან საჩივრის წარმომდგენი პირები არ წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს/მხარეს.
3. დაევალოს შპს ,,ტელეიმედი"-ს კანცელარიას უზრუნველყოს საქმის მასალებისა და სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების გაცნობა შპს ,,ტელეიმედის" გადაცემა ,,სხვა რაკურსის" ავტორს/ავტორებს, რედაქტორს/რედაქტორებს, სიუჟეტის ,,მედრესეში მიზარებულ ბავშვები"-ს ავტორს და მიეცეთ რეკომენდაცია შემდგომში სავარაუდო დარღვევების სრულად აღმოფხვრის თაობაზე.
4. დაევალოს შპს ,,ტელეიმედი"-ს კანცელარიას უზრუნველყოს კანონით დადგენილ ვადებში და წესით დასაბუთებული გადაწყვეტილების გაგზავნა სააპელაციო საჩივრის ავტორთათვის.
5. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო კომისიის წევრები:

ელიზბარ ხაჭაპურიძე (თავმჯდომარე)

პაატა ნოზაძე

ეთერ ზაალიშვილი